ბრძანება:**ბ54. 5423010001**
თარიღი:**10/01/2023**

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერცევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობს 2022 წლის 28 დეკემბრის N602 დადგენილების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №2 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09 სთ 30წთ-დან 17სთ 30 წთ-მდე.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერისპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ სიღნაღის მუნიციპალიტეტის (მერია, საკრებულო) თანამდებობის პირები და პროფესიული საჯარო მოხელეები N3 დანართის შესაბამისად.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირ(ებ)ისთვის მისი გადაცემიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით (მის. ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. N15).

8. ბრძანება ძალაში შევიდეს სათანადო წესით გამოქვეყნებისთანავე.

მალხაზი ბეგიაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი